საიდ. N81680/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N43-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის ზაკრიტოე აციონერნოე ობშესტვო ჰოლდინგოვაია კომპანია „ლადოგა“ (Закрытое Акционерное Общество „ХОЛДИНГОВАЯ КОМПАНИЯ „ЛАДОГА“) N43-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის N2471/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის N2471/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ (საიდ. N81680/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან, მსგავსია საქპატენტში ს.ს. „ვაზიანი“-ს სახელზე, 33-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „სამეფო Царская“ (რეგ. N16735, რეგ. თარიღი: 2006-07-12). სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: „აპერიტივები; არაყი; ბრენდი; ღვინო; პიკეტი (ჭაჭაზე დამზადებული ღვინო); ვისკი; არაყი; ანისულის არაყი; ალუბლის არაყი; ჯინი; დიჯესტივები [ლიქიორი და ალკოჰოლიანი სასმელები]; კოქტეილები; კიურასო; ანისულის ლიქიორები; ლიქიორები; შერეული ალკოჰოლური სასმელები, ლუდზე დამზადებული სასმელების გარდა; ალკოჰოლური სასმელები, ლუდის გარდა; ხილის შემცველი ალკოჰოლური სასმელები; სპირტიანი სასმელები; გამოხდით მიღებული სასმელები; თაფლუჭი [თაფლის სასმელი]პიტნის ნაყენი; მწარე ნაყენები; ნირა [შაქრის ლერწამზე დამზადებული ალკოჰოლური სასმელები]; რომი; საკე; სიდრი [მსხლის ღვინო]; სიდრები; ბრინჯის სპირტი; სპირტიანი ექსტრაქტები; ხილის ექსტრაქტები, ალკოჰოლიანი; სპირტიანი ესენციები“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „ალკოჰოლიანი სასმელები“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მთლიანად მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს.

ორივე სასაქონლო ნიშანში დომინანტია სიტყვიერი ელემენტი „ЦАРСКАЯ“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს დამატებით სიტყვიერ ელემენტს - „ЗОЛОТАЯ“, რომელიც ნიშანს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას. დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. რეგისტრირებული ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი და განცხადებული ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან, ორივე მათგანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ცარსკაია“. ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან, განცხადებული ნიშანი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებულ ნიშანს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღნიშნული სიტყვიერი ელემენტები შედგება შვიდი იდენტური ასომთავრული ასოსაგან. რაც შეეხება აღნიშნული ელემენტების სემანტიკას, ორივე მათგანი ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც, „სამეფო“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია ზაკრიტოე აკციონერნოე ობშესტვო ჰოლდინგოვაია კომპანია „ლადოგა“ (Закрытое Акционерное Общество „ХОЛДИНГОВАЯ КОМПАНИЯ „ЛАДОГА“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან, არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) შედგება კირილიცაზე შესრულებული ორი სიტყვიერი ელემენტისაგან - „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ერთ სიტყვას, რომელიც შესრულებულია ქართულ და რუსულ ენაზე - „სამეფო Царская“. ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად, რადგან დაპირისპირებულ ნიშანში პირველი, დომინანტი და ქართველი მომხმარებლისთვის მეტად ნაცნობი ელემენტია ქართულენოვანი ნაწილი.

აპელანტის მითითებით, განცხადებულ ნიშანში დამატებითი სიტყვიერი ელემენტის „ЗОЛОТАЯ“ არსებობა ნიშანს ანიჭებს დამატებით განმასხავებლობას და აძლიერებს ნიშნებს შორის განსხვავებას ფონეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „ცარსკაია ზალატაია“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „სამეფო“. ნიშნები განსხვავდება აზრობრივად. განცხადებული ნიშანი ქართულ ენაზე შიეძლება ითარგმნოს როგორც „სამეფო ოქრო“ ან „სამეფო ოქროსი“.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის მფლობელი არის ქართული კომპანია, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის მფლობელია რუსული კომპანია, რაც პირდაპირ აღიქმება დაპირისპირებული ნიშნებიდან. შესაბამისად, ნაკლებად შესაძლებელია მომხმარებლის მხრიდან ნიშნების აღრევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის N2471/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) რეგისტრაციას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N43-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „სამეფო Царская“ (რეგ. N16735, რეგ. თარიღი 2006-07-12) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ სიტყვიერია და შედგება კირილიცაზე შესრულებული ორი სიტყვიერი ელემენტისაგას - „ЦАРСКАЯ“ და „ЗОЛОТАЯ“. ორივე სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია ასომთავრულად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „სამეფო Царская“ შედგება ქართული ანბანითა და კირილიცაზე შესრულებული ორი სიტყვიერი ნაწილისაგან, სადაც კირილიცაზე შესრულებული ნაწილის მხოლოდ პირველი ასოა ასომთავრულად შესრულებული.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან, განცხადებული ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ ნიშანს. განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი - „ЦАРСКАЯ“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი „Царская“ აღრევამდე მსგავსია. ამასთან, ორივე სასაქონლო ნიშნის დომინანტი ელემენტია სიტყვიერი აღნიშვნა „ЦАРСКАЯ“, რაც ზრდის ნიშნებს შორის ვიზუალურ მსგავსებას. განცხადებულ ნიშანში მეორე სიტყვიერი ელემენტის „ЗОЛОТАЯ“ არსებობა ვერ ანიჭებს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან, განცხადებული ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ცარსკაია ზალატაია“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „სამეფო ცარსკაია“.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან, მსგავსია განცხადებული ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა.

მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, ვინაიდან, განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „ЦАРСКАЯ ЗОЛОТАЯ“ (საიდ. N81680/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ზაკრიტოე აციონერნოე ობშესტვო ჰოლდინგოვაია კომპანია „ლადოგა“ (Закрытое Акционерное Общество „ХОЛДИНГОВАЯ КОМПАНИЯ „ЛАДОГА“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის N2471/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე